ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1771709

ნომერი: AR1285429

თარიღი : 10.02.2015

გაცემის თარიღი : 09.03.2015

გაცნობის თარიღი : 10.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდუბის ავტოსადგურსა და დიღმის მასივში შესასვლელ ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი სხირტლაძე პ/ნ 01008018667
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 40 ბ. 22

ორგანიზაცია:
- შპს 12 კოდი: 404974104

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

სარეკლამო ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიდუბის ავტოსადგურსა და დიღმის მასივში შესასვლელ ხიდს შორის, შ.პ.ს. "გეორგია"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.03.051.055), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882011173275 19/04/2011წ. საკადასტრო კოდი N 01.13.03.051.055; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიდუბის ავტოსადგურსა და დიღმის მასივში შესასვლელ ხიდს შორის, შ.პ.ს. "გეორგია"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.03.051.055), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობის შესაძლებლობას.

დაცული იქნას სარეკლამო კონსტრუქციის კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.